



საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება Georgian Society for the Protection and Safety of Animals

საქართველო, თბილისი, ნუცუბიდის ფერდობი, II მ/რ., I კვარტალი, კორპ. 3ა
3a building, 1 Block, 2 Micro-District, Nutsubidze Plateau, Tbilisi, Georgia
+ 995 593 32 21 59 www.gspso.org.ge info@gspso.org.ge

www.gspso.org.ge

N 13/18 23.08.2018 წ.

საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ იხილება საქართველოში მოქმედი რეგისტრირებული ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ (N648 18.01.2018) და მეორე ჯგუფის საკანონმდებლო წინადადება „ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ (N21841 14.11.2017). კომიტეტის მიერ დასკვნის საფუძველზე წარმოდგენილი ორივე საკანონმდებლო წინადადება ეხება ერთ და იმავე საკითხს, უნდა შეჯერდეს და შემუშავდეს კანონპროექტი.

ჩვენ, ააიპ „საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოება“, ვართ ცხოველთა დაცვის ორგანიზაცია, რომელიც უკვე 12 წელია არსებობს, რეალურად ფუნქციონირებს და აქვს დიდი გამოცდილება ცხოველთა დაცვისა და კეთილდღეობის საკითხებში. ორგანიზაციის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია ცხოველთა თავშესაფარი. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც დაკავშირებულია ცხოველთა თემასთან და საკითხებთან. ბუნებრივია ჩვენ დავინტერესდით პარლამენტის კომისიაში განსახილველად შესული საკანონმდებლო წინადადებებით, რაზედაც გაგვაჩნია ჩვენი შენიშვნები და წინადადებები. მიგვაჩნია, რომ აღნიშნულით დავეხმარებით კომიტეტს და სამუშაო ჯგუფს საკითხის უკეთ დამუშავების და შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივის მომზადებას.

თან ერთვის:

1. ძირითადი შენიშვნები და წინადადებები ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ (N648 18.01.2018) – 6 ფურც.
2. შენიშვნები ცხოველთა დაცვის ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო წინადადება „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ (N648 18.01.2018) – 26 ფურც.
3. ძირითადი შენიშვნები და წინადადებები საკანონმდებლო წინადადება „ადამიანის კომპანიონ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ (N21841; 14.11.2017) – 1 ფურც.

პატივისცემით,

თეიმურაზ წიქორიძე

კავშირის თავმჯდომარე